ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N121

2015 წლის 27 აგვისტო

ქ.ქობულეთი

სსიპ ქ.ქობულეთის N1 საჯარო სკოლისათვის აკაკი წერეთლის სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების მე-4[1] მუხლის ,,ბ" პუნქტის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანახმაა სსიპ ქობულეთის N1 საჯარო სკოლას მიენიჭოს აკაკი წერეთლის სახელი;

2. ქობულეთის რესურსცენტრმა უზრუნველყოს სსიპ ქობულეთის N1 საჯარო სკოლაზე აკაკი წერეთლის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ი.ხაჯიშვილი);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე